

ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, ნავთობი და საგარეო პოლიტიკა

(შემთხვევების შესწავლა: 1973, 1979 და 2012 წლების ნავთობკრიზისები)

მარიამ ნანოზაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები,
ევროპისმცოდნეობა, კავკასიის კვლევები, საბჭოთა კვლევები)

მიმართულება: საერთაშორისო ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

„როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამ ნანობაშვილი

15.06.2018

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, თეორიული და ემპირიული ანალიზის მეშვეობით გადაამოწმოს ნეოლიბერალური მოსაზრებები და არგუმენტები იმის შესახებ, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების სისტემა ხელს უწყობს მშვიდობიანი გარემოს არსებობას; რადგან, ამ სისტემაში მყოფი სახელმწიფოები მიიჩნევენ, რომ შეუძლიათ მიიღონ მეტი სარგებელი ეკონომიკური განვითარების მეშვეობით, ვიდრე დაპირისპირებებითა და ტერიტორიული ექსპანსიით.

გარდა ამისა, ეკონომიკის ასეთი გაზრდილი მნიშვნელობის გამო, შესაძლოა, რომ სახელმწიფოებმა გამოიყენონ ეკონომიკური ურთიერთობები და არა სამხედრო ძალა, სხვადასხვა პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. რისი მაგალითიც არის, ნავთობით მანიპულაციის შემთხვევები. ნავთობით ვაჭრობა წარმოადგენს ქვეყნის შემოსავლის ერთ-ერთ ძირითად წყაროს და მასზე დიდწილად არის დამოკიდებული მრეწველობისა თუ სხვა სფეროს განვითარება. ამის გამო, შესაძლოა, სახელმწიფომ გამოიყენოს ნავთობი იძულების ინსტრუმენტად და პოლიტიკური სტრატეგიების განსახორციელებლად.

ნეოლიბერალური მოსაზრებები გაკრიტიკებულია ბევრი ნეორეალისტის მიერ. მათი აზრით, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება არ ამცირებს სახელმწიფოებს შორის კონფლიქტების დაწყების ალბათობას და არც „ეკონომიკური იარაღი“ არ გამოიყენება, სამხედრო ძალის ერთგვარ ალტერნატივად.

წინამდებარე ნაშრომს ორი საკვლევი კითხვა აქვს, განაპირობებს თუ არა ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება მშვიდობას? და რატომ ირჩევს სახელმწიფო გამოიყენოს „ნავთობის იარაღი“ და არა სამხედრო ძალა პოლიტიკური მიზნების მისაღწევად?

ნაშრომი მიეკუთვნება თვისებრივი კვლევის კატეგორიას და გამოყენებულია ერთი მხრივ, ნეოლიბერალური და ნეორეალისტური პოზიციების შედარებითი ანალიზი (Comparative Analysis) და მეორე მხრივ, შემთხვევების შესწავლის (Case Study) მეთოდი;

კერძოდ, განხილულია 1973, 1979 და 2012 წლების ნავთობკრიზისები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება განაპირობებს, სახელმწიფოებმა უარი თქვან ერთმანეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე, რადგან ნებისმიერი სახის კონფლიქტი საფრთხეს უქმნის თითოეული მხარის „ეკონომიკურ მოგებას“, რაც მათ კეთილდღეობისა და განვითარებისათვის, უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის დასაფინანსებლად სჭირდებათ. გარდა ამისა, სამხედრო ძალასთან შედარებით, „ნავთობის იარაღის“ გამოყენებას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად აქვს სტრატეგიული ეკონომიკური თუ სამრეწველო მნიშვნელობა, არის უფრო სწრაფი და უსაფრთხო საშუალება და გააჩნია ნაკლები ხარჯი.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, ეკონომიკური დიპლომატია, „ნავთობის იარაღი“, ნავთობკრიზისი, ნეოლიბერალიზმი, ნეორეალიზმი.

Abstract

The purpose of the present thesis is to verify neoliberal considerations and arguments through theoretical and empirical analysis, that the economic interdependence system supports existence of a peaceful environment; Because states in this system consider that they can get more benefits from economic development rather than confrontations and territorial expansion.

In addition, because of such increased importance of economy, states may use their economic relations instead of military power to achieve various political goals. Oil manipulation cases are an example of this. Oil trade is one of the main source of country's income and development of industry and other sectors is largely dependent on it. Due to these factors, the state may use the oil as a coercive instrument and implement political strategies.

Neoliberal considerations have been criticized by many neorealists. In their opinion, economic interdependence does not reduce probability of beginning inter-state conflicts and "economic weapon" is not used as an alternative power of military force.

The present work has two study questions, Does economic interdependence support existence of a peaceful system? And Why does state choose to use "oil weapon" instead of military power to achieve political goals? This thesis is based on qualitative research method and uses Comparative Analysis and Case Study method; In particular, 1973, 1979 and 2012 oil crises are discussed.

According to this study, in economic interdependence system states refuse to use force against each other because any kind of conflict threatens an "economic gain" of each of them, which they need for development, financing security and foreign policy. In addition, using "oil weapon" in comparison with military power to achieve political goals has strategic economic and industrial importance, is a faster and safer way and has less expense.

Keywords: Economic Interdependence, Economic Diplomacy, "Oil Weapon", Oil Crisis, Neoliberalism, Neorealism.

მადლობა

მსურს ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, სამაგისტრო საფეხურზე სწავლის პერიოდში გაწეული დახმარებისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდის ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ბ-ნ გიორგი სანიკიძეს. კვლევის დაგეგმვა და განხორციელება გამიჭირდებოდა მისი შენიშვნების, კომენტარებისა და რეკომენდაციების გარეშე. იგი აქტიურად იყო ჩართული მუშაობის პროცესში და კვლევის თითოეულ ეტაპზე, შესაბამის დახმარებას მიწევდა.

გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო იმ რესპონდენტების წვლილი, რომლებმაც გამონახეს დრო და მონაწილეობა მიიღეს ჩემ მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში. მათი პასუხები მნიშვნელოვანი იყო კვლევის განხორციელებისა და ჰიპოთეზების გადამოწმებისათვის.

და ბოლოს, მსურს მაღლიერებით მოვიხსენიო ჩემი მშობლები, ვინაიდან მათი ხელშეწყობის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა ნებისმიერი სახის სასწავლო და კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის მიღება.